# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №36

06 თებერვალი, 2012 წელი ქ.ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

ერთის მხრივ ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორის მაია პაქსაძის სახით (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ქალაქ ქუთაისის მერის 2010 წლის 30 დეკემბრის №2054 ბრძანება; მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ს/ნ 412675396 ტელ: 25-37-00) (შემდგომში „შემსყიდველი")

მეორეს მხრივ ფიზიკური პირი ვახტანგი აბაშიძე (მისამართი: ქ.ქუთაისი, გურამიშვილის ქუჩა #1; პირადი #60001041918; ტელ: 598 14 72 44; „თი–ბი-სი ბანკი" ქუთაისის ფილიალი, ა/ა GE18TB0339545063622486) (შემდგომში „მიმწოდებელი")

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. შესყიდვის ობიექტი

1.1 ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის" ორისის პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მხარდაჭერა. მომსახურების ღირებულებაა 312,5 (სამასთორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი. კლასიფიკატორის დანაყოფის კოდია 72261000.

1.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიძლება შეიცვალოს „შემსყიდველის" მიერ ფაქტიურად შესყიდული მომსახურების რაოდენობიდან გამომდინარე.

## 2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 „შემსყიდველი" ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

2.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მოახდინოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერა.

## 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების" შესყიდვების კოორდინატორი გიორგი ჭუმბურიძე.

## 4. გარანტია

4.1 „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ განახორციელებს მომსახურებას მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

## 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო

5.3 ანგარიშსწორების ვადაა: ფაქტობრივად განხორციელებული სამუშაოს შესრულებიდან (მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) 10 სამუშაო დღე.

5.4 ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 14 ივნისის №336 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ შემოსულობების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია მასზე ხელისმოწერის დღიდან 2012 წლის 26 თებერვლამდე.

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

განხორციელებული მომსახურების დამტკიცებას ახორციელებს ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების" დირექტორი.

## 8. ფასები

8.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

8.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

8.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის პირობებში.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

9.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

9.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

9.3 იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის «ფორს-მაჟორი» ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, სახელმწიფო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15 02 12

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 13. გადასახადები და დაზღვევა

13.1 შემსყიდველი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების, გადასახდელების გადახდაზე.

მაია ბაქსაძე

ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების
გაერთიანების დირექტორი
ს/ნ 412675396
ქქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3;

(შემსყიდველი)

ფიზიკური პირი
ვახტანგი აბაშიძე
პირადი #60001041918
„თი–ბი-სი ბანკი" ქუთაისის ფილიალი
ა/ა GE18TB0339545063622486

(მიმწოდებელი)

15.02.19